

შპს „აიემდი“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „აიემდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	230,511	165,341	8,887
არამატერიალური აქტივები		8,567	7,522	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	9,881,839	3,608,828	2,368,018
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,120,916	3,781,692	2,376,905
სასაქონლო მარაგები		2,447,318	449,908	341,273
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,611,525	423,742	40,523
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		11,292	1,318,364	2,615
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,070,134	2,192,013	384,411
სულ აქტივები		14,191,051	5,973,705	2,761,315
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		30,898	39,620	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	514,984	187,224	419,656
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		545,882	226,844	419,656
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	11,964,624	3,120,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,964,624	3,120,000	-
სულ ვალდებულებები		12,510,506	3,346,844	419,656
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		2,951,950	3,071,750	2,494,032
გაუნაწილებელი მოგება		(1,271,405)	(444,889)	(152,373)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,680,544	2,626,861	2,341,658
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,191,051	5,973,705	2,761,315

შპს „აიემდი“-ს დირექტორი

პავლე მაღრაძე _____

შპს „აიემდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	9	-	47,818
ამონაგების თვითღირებულება		-	(46,859)
საერთო მოგება		-	959
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,865,472)	(416,341)
არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)	11	1,038,956	122,867
მოგება დაბეგვრამდე		(826,516)	(292,515)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(826,516)	(292,515)

შპს „აიემდი“-ს დირექტორი

პავლე მაღრაძე _____

შპს „აიემდი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022- 31.12.2022 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	2,494,033	(152,374)	2,341,659
პერიოდის მოგება		(292,515)	(292,515)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	577,719	-	577,719
ნაშთი - 31.12.2021	3,071,751	(444,889)	2,626,862
პერიოდის მოგება		(826,516)	(826,516)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(119,800)	-	(119,800)
ნაშთი - 31.12.2022	2,951,951	(1,271,405)	1,680,546

შპს „აიემდი“-ს დირექტორი

პავლე მაღრაძე _____

შპს „აიემდი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აიემდი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 25/04/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მიხეილ ასათიანის ქუჩა, N 10, სართული 5, ბინა N 25.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რემონტი. მიმდინარე პერიოდში მიმდინარეობს საავადმყოფოს მშენებლობა.

- კომპანიის დირექტორი: პავლე მაღრაძე, 01008018126
- კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მასა ჰოლდინგი, 405230628

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა

დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	2.8844	3.504	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია შესადარისი პერიოდის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარკვეული უზუსტობები, რის გამოც დაკორექტირებულია ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება
	2021 ლარი	
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,768,872	(3,603,530)
არამატერიალური აქტივები	7,522	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		3,608,828
სასაქონლო მარაგები	449,855	53
საგადასახადო ვალდებულებები	39,594	27
გაუნაწილებელი მოგება	(450,212)	5,324

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	ლარი	სულ ლარი
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2020	8,887	8,887
შემოსვლა 2021	164,700	164,700
გასვლა 2021	(421)	(421)
ცვეთა პერიოდისათვის 2021	(7,825)	(7,825)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	165,341	165,341
შემოსვლა 2022	113,837	113,837
გასვლა 2022	(3,556)	(3,556)
ცვეთა პერიოდისათვის 2022	(45,112)	(45,112)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2022	230,511	230,511

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
მიწის ნაკვეთები	708,195	708,195	578,852
დაუმთავრებელი მშენებლობა	9,173,644	2,900,633	1,789,166
სულ	9,881,839	3,608,828	2,368,018

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
გადახდილი ავანსები	882,013	393,742	40,351
გაცემული სესხები	728,550	30,000	-
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები			172
მისაღები პროცენტები	962		
სულ	1,611,525	423,742	40,523

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
გადასახდელი ხელფასები	101,015	-	-
საიჯარო ვალდებულებები	12,873	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	376,155	82,238	110,311
სხვა ვალდებულებები	24,942	104,985	309,345
სულ	514,984	187,224	419,656

8. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
ბანკისგან მიღებული სესხები	11,964,624	3,120,000	-
სულ	11,964,624	3,120,000	-

9. ამონაგები

	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	-	47,818
სულ	-	47,818

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 ლარი	2021 ლარი
შრომის ანაზღაურება	(1,426,996)	(333,123)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(41,778)	(9,080)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(145,518)	(146)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(9,946)	(2,474)
საგადასახადო ხარჯი	(66,779)	(25,720)
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯი	(203)	(1,681)
საპენსიო ხარჯი	(42,670)	(9,096)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(131,583)	(35,019)
სულ	(1,865,472)	(416,341)

11. არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)

	2022 ლარი	2021 ლარი
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი	24,508	79
სხვა ფინანსური შემოსავალი	54,730	56,909
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	959,718	65,879
სულ	1,038,956	122,867

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა (19.09.2023)

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 19 სექტემბერს.

შპს „აიემდი“-ს დირექტორი

პავლე მაღრაძე _____

შპს „აიემდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022	2021	2020
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	230,511	165,341	8,887
არამატერიალური აქტივები		8,567	7,522	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	9,881,839	3,608,828	2,368,018
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,120,916	3,781,692	2,376,905
სასაქონლო მარაგები		2,447,318	449,908	341,273
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,611,525	423,742	40,523
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		11,292	1,318,364	2,615
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,070,134	2,192,013	384,411
სულ აქტივები		14,191,051	5,973,705	2,761,315
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		30,898	39,620	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	514,984	187,224	419,656
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		545,882	226,844	419,656
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	11,964,624	3,120,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,964,624	3,120,000	-
სულ ვალდებულებები		12,510,506	3,346,844	419,656
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		2,951,950	3,071,750	2,494,032
გაუნაწილებელი მოგება		(1,271,405)	(444,889)	(152,373)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,680,544	2,626,861	2,341,658
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,191,051	5,973,705	2,761,315

შპს „აიემდი“-ს დირექტორი
პავლე მაღრაძე



შპს „აიემდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	9	-	47,818
ამონაგების თვითღირებულება		-	(46,859)
საერთო მოგება		-	959
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,865,472)	(416,341)
არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)	11	1,038,956	122,867
მოგება დაბეგვრამდე		(826,516)	(292,515)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(826,516)	(292,515)

შპს „აიემდი“-ს დირექტორი

პავლე მაღრაძე



შპს „აიემდი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022- 31.12.2022 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	2,494,033	(152,374)	2,341,659
პერიოდის მოგება		(292,515)	(292,515)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	577,719	-	577,719
ნაშთი - 31.12.2021	3,071,751	(444,889)	2,626,862
პერიოდის მოგება		(826,516)	(826,516)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(119,800)	-	(119,800)
ნაშთი - 31.12.2022	2,951,951	(1,271,405)	1,680,546

შპს „აიემდი“-ს დირექტორი
პავლე მაღრაძე



12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა (19.09.2023)

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 19 სექტემბერს.

შპს „აიემდი“-ს დირექტორი
პავლე მაღრაძე

